



მოლაპარაკება პროგრამის თაობაზე

ს.ს.ფ-ს მორიგი მისიის ვიზიტის დროს, რომელიც დაგეგმილია მაისში ან ივნისის დასაწყისში, მთავრობასთან გაიმართება მოლაპარაკება შემდგომ ეკონომიკურ პროგრამაზე, რომელიც ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება ს.ს.ფ-ს მიერ:

- მარტსა და აპრილის დასაწყისში მთავრობასთან გაიმართა წინასწარი მოლაპარაკება-- მსოფლიო ბანკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით-- სილატაკის დონის შემცირების სტრატეგიაზე, რომელიც ახალი ეკონომიკური პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება.
- ს.ს.ფ-ს წარმომადგენლობა საქართველოში განაგრძობს ფისკალური, ფულად-საკრედიტო, გაცვლითი კურსის პოლიტიკის და მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების შესრულების მონიტორინგს.

ს.ს.ფ-ს აღმასრულებელი საბჭო განმკარგულებელ დირექტორად ირჩევს ჰორსტ კოლერს

ს.ს.ფ-ს აღმასრულებელმა საბჭომ 23 მარტს ერთხლოვნად აირჩია ჰორსტ კოლერი განმკარგულებელ დირექტორად და საბჭოს თავჯდომარედ. ბატონი კოლერი შეცვლის მიშელ კამდესუს და მოვალეობის შესრულებას შეუდგება 1 მაისიდან, 2000.

ბ-ნი კოლერი, 57 წლის, ეროვნებით გერმანელი, ამჟამად არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი - თანამდებობა მიიღო 1998 წლის სექტემბერს. 1993-1998 წლებში ბ-ნი კოლერი იყო გერმანიის შემნახველი ბანკის ასოციაციის პრეზიდენტი; 1990-1993 წლებში გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კურატორობდა საერთაშორისო ფინანსურ და მონეტარულ ურთიერთობებს. ამ პერიოდში იგი გერმანიის მთავრობის სახელით ხელმძღვანელობდა მოლაპარაკებას შეთანხმებაზე რომელიც გახდა მაასტრიხის ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური და მონეტარული ერთობის შესახებ. იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის

გაერთიანების პროცესში და მსოფლიო ბანკში წარმოდგენდა გერმანიის მმართველის მოადგილეს. ბ-ნი კოლერი გახლდათ ფედერალური კანცლერის პირადი წარმომადგენელი 7 ეკონომიკური სამიტის ჯგუფის მზადებაში ჰიუსტონში (1990), ლონდონსა (1991) და ტოკიოში (1993).

ბ-ნი კოლერს მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებაში ტიუბინგენის უნივერსიტეტიდან სადაც 1969-1976 წლამდე მოღვაწეობდა როგორც მეცნიერული კვლევის ასისტენტი გამოყენებითი ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან 1976-1989 წლებში სხვადასხვა თანამდებობებზე იმუშავა გერმანიის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებში.

მას ჰყავს მეუღლე, ევა კოლერი და ორი შვილი.

ტექნიკური დახმარება

საქართველოს მთავრობის თხოვნის საპასუხოდ ტექნიკური დახმარება მიეღოთ საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გასაძლიერებლად, ს.ს.ფ-მ გამოაგზავნა ტექნიკური დახმარების მისია რომელიც რეკომენდაციებს წარადგენს აპრილის დასაწყისში. მისიის მთავარი ამოცანა არის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მოღვაწეობის შეფასება, პრობლემატურ საკითხებზე რეკომენდაციების გაწევა და ინსპექციის ეფექტურობის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: მსხვილ გადამხდელთა იდენტიფიკაცია, კონროლი გადახდებსა და დეკლარაციების შევსებაზე, აუდიტის შერჩევა და მისი მეთოდები, გადასახედების ამოღების მეთოდები.

თებერვლის ბოლოდან აპრილის დასაწყისამდე, ს.ს.ფ-მ ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ეროვნულ ბანკს ანგარიშგების საკითხებში, მათ შორის: 1999 წლის ფინანსური განაცხადის მომზადებაში, 1999 წლიური მოხსენების შემუშავებასა და გადახდების ახალი სისტემის გაუმჯობესებაში.

ცხრილი 1. რუსეთის, ბალტიისპირეთის და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების შემაჯამებელი ეკონიკური მონაცემები.

	ინფლაცია 12 თვის ბაზა იანვ. 2000	რეალური მ.შ.პ.-ს ზრდა 1999	ფისკალური ბალანსი 1/ 2/	მიმდინარე ანგარიში 2/
სასომხეთი	0.0	3.1	-5.2	-13.0
აზერბაიჯანი	0.7	7.4	-5.6	-27.2
ბელარუსეთი	251.3	3.0	1.0	0.0
ესტონეთი	3.9	-1.3	-4.8	-4.5
საქართველო	8.5	3.0	-5.5	-7.8
ყაზახეთი	20.0	1.7	-5.2	-1.2
ყირგიზეთი	39.9	2.2	-11.2	-14.6
ლატვია	3.2	0.0	-4.0	-8.9
ლიტვა	0.8	-3.3	-8.7	-11.8
მოლდოვეთი	40.4	-4.4	-1.7	-5.5
რუსეთი	28.9	3.2	-4.0	10.2
ტაჯიკეთი	31.3	3.7	-3.1	-6.8
თურქმენეთი	20.1	16.0	0.1	-12.1
უკრაინა	23.8	-0.4	-2.3	-1.1
უზბეკეთი	25.4	4.4	-3.1	0.3

1/ ცენტრალური მთავრობა; საკასო მეთოდით (თურქმენეთისათვის ბიუჯეტ-გარეშე ფონდების გამოკლებით).

2/ უახლესი 4 კვარტლის საშუალო მონაცემი გამოსახული როგორც მ.შ.პ.-ს პროცენტი.

ცხრილი 2. საქართველო: ეკონომიკური და ფინანსური მონაცემები

	1997	1998	1999	იანვ. 2000	2000 თებ.	მარ.
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$), კურსი პერიოდის ბოლოს	1.30	1.79	1.96	2.05	1.95	1.93
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$) საშუალო კურსი პერიოდისათვის	1.29	1.39	2.01	2.02	1.98	1.96
სამომხმარებლო ფასები (ცვლილება 12 თვის განმავლობაში)	7.2	10.7	19.7	8.5	3.1	...
რეალური მშპ მილიონ ლარში	4,505	4,795	5,594
მშპ-ს ზრდა (%) ^{1/}	10.8	2.9	3.0
(მილიონი აშშ დოლარი)						
მთლიანი რეზერვები უცხოურ ვალუტაში	173.3	118.4	128.5	119.7	117.1	120.2
(მილიონი ლარი)						
სახელმწიფო ოპერაციები						
შემოსავლები	668.8	786.4	872.7	52.1	62.8	...
ხარჯები ^{2/}	982.4	1096.4	1249.6	74.3
დაფინანსება ^{3/}	313.6	310.0	376.9	22.2

^{1/} საქართველოს მთავრობის განახლებული მონაცემები

^{2/} ვალდებულებების მიხედვით

^{3/} საკასო დაფინანსებას დამატებული ხარჯების დავალიანების ცვლილება და სხვა ნაშთი